# ჩემი პირველი ანბანი

ყველაზე პატარებისათვის



დედაენის მიხედვით

ყველაზე პატარებისათვის

# ჩემი პირველი ანბანი

(დედაენის მიხედვით)



გამომცემლობა „ცოტნე“

ყველაზე პატარებისათვის

# ჩემი პირველი ანბანი

(ᲓᲔᲓᲐᲔᲜᲘᲡ ᲛᲘᲮᲔᲓᲕᲘᲗ)

ᲨᲔᲐᲓᲒᲘᲜᲐ ᲜᲐᲜᲐ ᲤᲘᲤᲘᲐᲛ

მხატვარი ზურაბ სულაკაური
კორექტორი მზია კორსანტია
ტექნიკური რედაქტორი ზაზა მიქაძე

ᲡᲔᲠᲘᲐ «ᲧᲕᲔᲚᲐᲖᲔ ᲞᲐᲢᲐᲠᲔᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ»
ᲨᲔᲓᲒᲔᲑᲐ ᲬᲘᲒᲜᲔᲑᲘᲡᲐᲒᲐᲜ:

არითმეტიკა
ჩემი პირველი ანბანი
ჩემი პირველი ინგლისური ლექსიკონი

ფორმატი 84X108 1/16 ქაღალდი ოფსეტი №1. ბეჭდვა ოფსეტური.
გარნიტურა გოგებაშვილი. ტირაჟი 500 ც.
1999 წელი

გამომცემლობა «ᲪᲝᲢᲜᲔ»
ტელ.: (877) 42-86-37



# ი ა

ველზე ია ამოვიდა,
მიიხედა, მოიხედა;
მწყურიაო, — ჩუმადა თქვა,
დამახება ვერ გაბედა.

ი ი ი ი ი ი ი ი ი ი ი ი ი ი ი

ა ა ა ა

აი ია აი ია

# თ



## თითა

თითა ყურძენს ჰქვია,
არის ქარვისფერი,
შაქარივით ტკბილი
და თითივით გრძელი.

## თათი



უყურეთ,
ფისოც პირს იბანს, —
სულ გაილოკა თათები,
გადაიბზინა ქათიბი,
ბრმანდება ღამენათევი.
თვალები ამოიწმინდა,
ყური ასწია-დასწია,
ულვაშზე თათი გადისვა,
სათაგვეთისკენ გასწია.

თ თ თ თ თ თ თ თ თ თ თ თ თ თ

თ ა თ ი   თ ა თ ი

თ ი თ ა   თ ი თ ა



ს

თასი

თინამ თასით ბებიას
წყალი მიურბენინა;
არ სწყუროდა, დალია,
თინას არ აწყენინა.

ს ს ს ს ს ს ს ს ს ს ს ს ს ს ს

თასი თასი

საათი საათი



# ხ

## თხა

ჩვენი ბეკეკა ნაცარა,
წნელის ღობეში გამძვრალა,
არ შერხევია ბეწვიც კი,
ბექობზე ისე ამხტარა.
ნეკერი მიურთმევია,
ნორჩი ბალახით დამტკბარა;
გატიკინებულ ჯიქანში
გემრიელი რძე ჩამდგარა.

ხ ხ ხ ხ ხ ხ ხ ხ ხ ხ ხ ხ ხ

თხა თხა

თიხა თიხა



ო

## თოხი

აგერ თოხი, აგერ ბარი,
ორივ ჩვენი მეგობარი.
მოდი, ბიჭო, ავაყვავოთ,
ჩვენი კოხტა მთა და ბარი.

ო ო ო ო ო ო ო ო ო ო ო ო

თოხი თოხი

ოთახი ოთახი



ე

ხე

ხიდან ხეზე გადაფრინდი,
ჩიტო სამოთხისაო,
საიდუმლო გამიმხილე
უკვდავების ხისაო.

ე ე

ხე

სახე



# უ

## უთო

უთო, უთო, უთო ცხელი,
არ დაიწვა უცებ ხელი.
გაუსვი და გამოუსვი
ლამაზად და სწრაფად,
დედოფალას მოუხდება
გატკეცილი კაბა.
დაჭმუჭნილი ტანსაცმელით
ხომ ვერ ივლის, აბა?

უ უ უ უ უ უ უ უ უ უ უ უ

უთო უთო

თუთა თუთა



# ძ

## ძუა

ცხენის ძუა დავწანით,
გავაკეთეთ საცერი,
დედამ ფქვილი არ მოგვცა,
მშრალი სილა გავცერით.

ძ ძ

ძუა

ძიძა

# მ

## მუხა

მუმლი მუხასაო
გარს ეხვეოდაო,
მუმლი ჰქრებოდაო,
მუმლი წუდებოდაო,
ხე არ ხმებოდაო.



მ მ
მუხა
მამა

# შ



## შოთი

შოთი პურია ქართული,
კრაკანა და დაბრაწული,
თონიდან რომ ამოყრიან,
გეამება მისი სუნი.

## შეშა

გიორგიმ შეშა დააპო,
აანთო ჭიაკოკონა,
დავლურს უვლიან გარშემ
მაღლი, ბიჭი და გოგონა.



შ შ შ შ შ შ შ შ შ შ შ შ
შეშა შეშა
შოთი შოთი

## კუ

პატარა და დიდი კუ,
სასეირნოდ მიდიან,
მერე რა, რომ წვიმაა,
სახლი ზურგზე ჰკიდიათ.

კ





## სოკო

სოკოს ქუდი-ქოლგა,
აფარია თავზე,
ელოდება წვიმას,
სურს, რომ დიდი გახდეს.

კკკკკკკკკკკკ

კუ კუ

სოკო სოკო

# ვ



## იხვი

ეს პატარა რუ არის,
შიგ რომ ცურავს — იხვია,
ჭუჭულები — შვილები
სულ გარს შემოეხვია.

წყალი არ დაასველებს,
ბურტყლი გაუქონია,
თავმომწონედ მიცურავს,
თან ნიჩბებიც ჰქონია!

## ხავსი



ხასხასა მწვანეა,
ფერით მოლს ჰგავს,
მდინარის ნაპირზე
ქვებს მწვანედ რთავს,
ხის მირზეც ბინადრობს...
ვუწოდებთ ხავსს.

ვ ვ ვ ვ ვ ვ ვ ვ ვ ვ ვ ვ
იხვი იხვი
ხავსი ხავსი



# გ

## გემი

ნაპირს მოადგა ლამაზი,
უზარმაზარი გემი,
და ნატრობს ბიჭი პატარა,
ნეტავ იყოს ჩემი.

გგგგგგგგგგგგგ

გემი გემი

თაგვი თაგვი



## ოფოფი

ეს ოფოფი გაჩეჩილი,
ყური უგდეთ, რაზე ჩივის:
— სავარცხელი არ მაქვსო,
მიველ, ვთხოვე მამალსო.

# ფ



## თოფი

მონადირე თოფით დადის
სანადიროდ ტყეში,
მონადირეს ძაღლიც ახლავს,
რომ მოძებნოს მსხვერპლი.

ფ ფ ფ ფ ფ ფ ფ ფ ფ ფ ფ ფ

ოფოფი ოფოფი

თოფი თოფი